გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 184

2023 წლის 13 ოქტომბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების სს „სილქნეტისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 26 ივნისს (N 10/2023177209-20 და N 10/2023177162-20), 2023 წლის 29 ივნისს (N 10/2023180154-20) და 2023 წლის 19 ივლისს (N 10/20232005920) შემოსულია სს „სილქნეტის“ (ს/ნ 204566978) წერილი, რომელშიც იჯარის ფორმით მოთხოვილია, გარე განათების ბოძების გადაცემა, ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟის მიზნით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის” მიერ 2023 წლის 21 სექტემბრის N314-ქ გარე განათების კონსტრუქციების (გარე განათების ბოძები) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით:

ა) 66.00.757 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 4 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 104.00 (ასოთხი) ლარით;

ბ) 66.00.117 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 1 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 26.00 (ოცდაექვსი) ლარით;

გ) 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 1 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 26.00 (ოცდაექვსი) ლარით;

დ) 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 3 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 78.00 (სამოცდათვრამეტი) ლარით;

ე) 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 1 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 26.00 (ოცდაექვსი) ლარით;

ვ) 66.00.794 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 8 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 208.00 (ორასრვა) ლარით;

ზ) 66.00.803 (ს/კ 66.45.13.580 მიმდებარედ) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 1 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 26.00 (ოცდაექსვი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული გარე განათების ბოძების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება და მათი დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ქონების, სს „სილქნეტისთვის" (ს/ნ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" და „დ.დ" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, ა) ს/კ 66.00.757 ქონებიდან 4 (ოთხი) ერთეული გარე განათების ბოძი (მისამართი: ქ. გორი, პაპიტაშვილის ქუჩის მიმდებარედ); ბ) ს/კ 66.00.117 ქონებიდან 1 ცალი გარე განათების ბოძი (მისამართი: ქ. გორი, პაპიტაშვილის ქუჩის მიმდებარედ); გ) ს/კ 66.00.803 ქონებიდან 1 ცალი გარე განათების ბოძი (მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ); დ) ს/კ 66.00.803 ქონებიდან 3 ცალი გარე განათების ბოძი (მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ); ე) ს/კ 66.00.803 ქონებიდან 1 ცალი გარე განათების ბოძი (მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ); ვ) ს/კ 66.00.794 ქონებიდან 8 ცალი გარე განათების ბოძი (მისამართი: ქ. გორი,

შინდისის გზატკეცილის მიმდებარედ); ზ) ს/კ 66.00.803 (66.45.13.580 - ის მიმდებარედ) ქონებიდან 1 ცალი გარე განათების ბოძი (მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით გადასცეს სს „სილქნეტს" (ს/ნ 204566978), ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისთვის.

2. საწყისი საპრივატიზებო ფასი:

ა) 66.00.757 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 4 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 104.00 (ასოთხი) ლარით;

ბ) 66.00.117 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 1 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 26.00 (ოცდაექვსი) ლარით;

გ) 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 1 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 26.00 (ოცდაექვსი) ლარით;

დ) 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 3 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 78.00 (სამოცდათვრამეტი) ლარით;

ე) 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 1 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 26.00 (ოცდაექვსი) ლარით;

ვ) 66.00.794 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 8 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 208.00 (ორასრვა) ლარით;

ზ) 66.00.803 (ს/კ 66.45.13.580 მიმდებარედ) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 1 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 26.00 (ოცდაექსვი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა 19 (ცხრამეტი) ერთეულ გარე განათების ბოძისთვის განისაზღვროს 1140 (ათას ასორმოცი) ლარის ოდენობით.

4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 3 (სამი) წლის ვადით.

5. მოიჯარეს ზემოაღნიშნული 19 ერთეული გარე განათების ბოძი გადაეცემა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისთვის.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე